სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის

გადაწყვეტილება №025/18

ქ.თბილისი, 10 დეკემბერი, 2018 წელი

სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიის

განხილვის კოლეგიის ალტერნატიული წევრის დანიშვნის თაობაზე

2018 წლის 10 დეკემბერს პირველი დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარემ კონსტანტინე გელაშვილმა მოხსენებითი ბარათით მომართა ეთიკის კომისიის თავმჯდომარეს, რომლის მიხედვითაც ის ვერ მიიღებს მონაწილეობას დისციპლინური საქმის №011/18 განხილვის წესით განხილვაში, რადგან ამ საქმეში უკვე აქვს მონაწილეობა მიღებული საპროცესო ეტაპზე.

პირველი დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარის თხოვნით, ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მიერ აღნიშნული საქმის განხილვისას, კოლეგიის წევრთა რაოდენობის შევსების მიზნით, №011/18 საქმის განხილვისას ალტერნატიულ წევრად დაინიშნოს არჩილ ჩოფიკაშვილი.

ვიხელმძღვანელე რა ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტით, განხილვის კოლეგიის წევრთა რაოდენობის შევსების მიზნით,

დ ა ვ ა დ გ ი ნ ე:

1. ეთიკის კომისიის წევრი არჩილ ჩოფიკაშვილი დაინიშნოს პირველ დისციპლინურ კოლეგიაში ალტერნატიულ წევრად დისციპლინური საქმის №011/18 განხილვისათვის საჭირო ვადით.
2. გადაწყვეტილება ძალაშია მისი მიღებისთანავე.
3. ეთიკის კომისიის აპარატს დაევალოს, გადაწყვეტილების თაობაზე ეთიკის კომისიის შესაბამისი წევრების ინფორმირება.

თორნიკე ბაქრაძე

ეთიკის კომისიის თავმჯდომარე